

შპს „ტევრი“

2019 წლის ფინანსური ანგარიშგება

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება ზარალის ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	6

შპს „ტევრი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 31.12.2019-ის თარიღისთვის

	შენიშვნა	2019 ლარი	2018 ლარი
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	905,406	1,102,008
სულ გრძელვადიანი აქტივები		905,406	1,102,008
სასაქონლო მარაგები	5	1,403,375	1,024,970
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	212,194	124,726
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	7	1,528,120	1,283,009
სულ მოკლევადიანი აქტივები		3,143,689	2,432,705
სულ აქტივები		4,049,095	3,534,713
ვალდებულებები			
საგადასახადო ვალდებულებები		84,952	119,684
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	8	1,184,748	1,161,643
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		1,269,700	1,281,327
სულ ვალდებულებები		1,269,700	1,281,327
საკუთარი კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება		2,779,395	2,253,386
სულ საკუთარი კაპიტალი		2,779,395	2,253,386
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		4,049,095	3,534,713

შპს „ტევრი“-ს დირექტორი

თენგიზ ჭიჭინაძე

შპს „ტევრი“

სრული შემოსავლების ანგარიშგება 01.01.2019 - 31.12.2019 პერიოდისთვის

	შენიშვნა	2019 ლარი	2018 ლარი
ამონაგები	9	7,222,752	6,378,692
ამონაგების თვითღირებულება	10	(3,787,781)	(3,325,950)
საერთო მოგება		3,434,971	3,052,742
ადმინისტრაციული ხარჯები	11	(2,391,273)	(2,259,473)
ფინანსური ხარჯი	12	(27,136)	(24,520)
არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	13	209,599	350,574
მოგება დაბეგვრამდე		1,226,161	1,119,323
მოგების გადასახადი		(86,918)	(32,570)
წმინდა მოგება/ზარალი		1,139,243	1,086,754

შპს „ტევრი“-ს დირექტორი
თენგიზ ჭიჭინაძე

შპს „ტევრი“

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 01.01.2019- 31.12.2019 პერიოდისთვის

	საწესდებო კაპიტალი ლარი	გაუნაწილებელ ი მოგება ლარი	ჯამი ლარი
ნაშთი - 01.01.2018	-	1,798,211	1,798,211
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	-	-	-
გაცემული დივიდენდები	-	(631,579)	(631,579)
პერიოდის მოგება	-	1,086,754	1,086,754
ნაშთი - 31.12.2018	-	2,253,386	2,253,386
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	-	-	-
გაცემული დივიდენდები	-	(613,234)	(613,234)
პერიოდის მოგება	-	1,139,243	1,139,243
ნაშთი - 31.12.2019	-	2,779,395	2,779,395

შპს „ტევრი“-ს დირექტორი

თენგიზ ჭიჭინაძე

შპს “ტევრი“

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ტევრი შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში (რეგისტრაციის თარიღი 03/07/2014). კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ი. ჭავჭავაძის გამზ., №44, სართ. 1
კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს იმპორტირებული საქონლით, კერძოდ ქალის ტანსაცმლით და აქსესუარებით საცალო ვაჭრობა.
კომპანიის დირექტორი: თენგიზ ჭიჭინაძე (პ.ნ. 01024015705)

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ფულად ერთეულებში (ლარი).

საანგარიშგებო ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი ("ლარი"), რაც წარმოადგენს კომპანიის ფუნქციურ ვალუტას.

უცხოური ვალუტა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ისეთი ვალუტა რომელიც განსხვავდება კომპანიის ფუნქციონალური ვალუტისაგან (უცხოური ვალუტა) აღიარებულია ტრანზაქციის თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი სახსრები გადაყვანილია მოცემულ თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. სამართლიანი ღირებულებით აღიარებული არაფულადი სახსრები, რომლებიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, გადაყვანილია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით იმ თარიღში, როდესაც მათი სამართლიანი ღირებულება იქნა დადგენილი. გაცვლითი კურსით კონვერტაცია არ ეხება იმ არაფულად სახსრებს, რომლებიც უცხოურ ვალუტაში განსაზღვრულია ისტორიული ღირებულებით.

ფულადი სახსრების საკურსო სხვაობები აღიარებულია მოგება-ზარალში იმ პერიოდში რომელშიც ისინი წარმოიშება.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის მიერ გამოყენებული გაცვლითი კურსები შემდეგნაირია:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
1 აშშ დოლარი / ლარი	2.8677	2.6766
1 ევრო / ლარი	3.2095	3.0701

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და გადაეცემა საკუთრების უფლება.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით ფასდათმობებისა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგება-ზარალში როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

მიუხედავად იმისა, რომ მოგების გადასახადის გადახდის სამართლებრივი ვალდებულება წარმოიქმნება მხოლოდ დივიდენდის გადახდის შემდეგ, ვალდებულების აღიარება ხდება დივიდენდის გამოცხადების თარიღისთვის, თუ მაღალია ალბათობა, რომ გადაწყვეტილება დივიდენდის გამოცხადებაზე არ გაუქმდება.

მოგების გადასახადის ხარჯი გამორიცხავს მოგების გადასახადს დასაბეგრ ხარჯებზე, რადგან აღნიშნული არ ეფუძნება მოგების გადასახადის ცნებას (ის აღიარდება, როგორც საოპერაციო ხარჯი მოგებაში ან ზარალში).

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, ცვეთის შემცირებადი ნაშთის მეთოდით.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

- ავეჯი და სხვა ინვენტარი - 20%
- არამატერიალური აქტივები - 15%
- იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა - 15% შენობის იჯარით გათვალისწინებული ვადის სასარგებლო გამოყენების ვადის შესაბამისად.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები ასახულია დაგროვილი ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში. თუ შეუძლებელია არამატერიალური აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის საიმედოდ განსაზღვრა, მაშინ მოცემული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ხელმძღვანელობის შეფასების საფუძველზე, მაგრამ არ აღემატება 10 წელს.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების განხილვა, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის/კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც კომპანიის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება.

საიჯარო გადასახადელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულებების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის. ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახადელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მომსახურების/საქონლის მიწოდება ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებს პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული მოთხოვნები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

დაქირავებით მომუშავეთა გასამრჯელოები

დაქირავებით მომუშავეთა გასამრჯელოები, გაყიდვების თანამშრომლებისთვის წარმოადგენს ფიქსირებული თანხისა და ბონუსის ჯამს. ადმინისტრაციისათვის გასამრჯელოები ფიქსირებულია და არ იცვლება, თუ არ მოხდა მათი გასამრჯელოს მატების ან ერთჯერადი წახალისებისთვის, თანხის დამატების გადაწყვეტილების მიღება. გასამრჯელოები გადაიხდება ყოველთვიურად.

3. ცვლილებები წარდგენაში

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას აღმოჩენილია გარკვეული უზუსტობები წინა წლის ანგარიშგებაში, რის გამოც დაკორექტირებულია შესაძარისი პერიოდის ზოგიერთი მუხლი. აღნიშნული კორექტირებები წარმოდგენილია ქვემოთ ნაჩვენებ ცხრილში:

	კორექტირებული მონაცემები	წინა წლის მონაცემების კორექტირება	თავდაპირველი წარდგენა
	2018	2018	2018
	ლარი	ლარი	ლარი
სასაქონლო მარაგები	1,024,969.50	(20)	1,024,989.00
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	124,726	(32,276)	157,002
საგადასახადო ვალდებულებები	119,684	11,434	108,250
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	1,161,643	(32,295)	1,193,938
გაუნაწილებელი მოგება	2,253,386	(11,433)	2,264,819

	კორექტირებული	წინა წლის მონაცემების კორექტირება	თავდაპირველი წარდგენა
	2018	2018	2018
	ლარი	ლარი	ლარი
ამონაგები	6,378,692	1,628	6,377,064
ამონაგების თვითღირებულება	(3,325,950)	209,132	(3,535,082)
ადმინისტრაციული ხარჯები	(2,259,473)	(232,513)	(2,026,960)
ფინანსური ხარჯი	(24,520)	(24,520)	-
არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	350,574	46,317	304,257
მოგების გადასახადი	(32,570)	(397)	(32,173)

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

4. ძირითადი საშუალებები

	ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და სხვა ინვენტარი	სულ
საწყისი ღირებულება		
ბალანსი 01.01.2018	1,271,373.76	1,271,374
შემოსვლა	346,832.88	346,833
ბალანსი 31.12.2018	1,618,206.64	1,618,207
აკუმულირებული ცვეთა და გაუფასურება		
ბალანსი 01.01.2018	(314,348.29)	(314,348)
ცვეთა პერიოდისათვის	(201,850.03)	(201,850)
ბალანსი 31.12.2018	(516,198.32)	(516,198)
წმინდა საბალანსო ღირებულება ბალანსი 31.12.2018	1,102,008.32	1,102,008
შემოსვლა 2019	10,716.13	10,716
ცვეთა პერიოდისათვის 2019	(207,318.95)	(207,319)
წმინდა საბალანსო ღირებულება ბალანსი 31.12.2019	905,405.50	905,406

5. სასაქონლო მარაგები

	2019	2018
	ლარი	ლარი
გასაყიდი საქონელი	1,403,375	1,020,733
სხვა დამხმარე მარაგები	-	4,236
სულ	1,403,375	1,024,970

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2019	2018
	ლარი	ლარი
საქონლის/მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებული მოთხოვნა	81,656	85,019
გაცემული ავანსები	130,538	39,707
სულ	212,194	124,726

7. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	2019	2018
	ლარი	ლარი
ნაღდი ფული სალაროში	30,745	27,434
ფული საბანკო ანგარიშებზე	1,497,375	1,255,575
სულ	1,528,120	1,283,009

8. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	2019	2018
	ლარი	ლარი
გადასახდელი ხელფასები	47	23,218
მოწ. და მომსახ. წარმოქმნილი ვალდებულებები	1,184,701	1,138,426
საგადასახადო ვალდებულებები	84,952	119,684
სულ	1,269,700	1,281,327

9. ამონაგები

	2019	2018
	ლარი	ლარი
საქონლის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები (დღგ-ით დასაბეგრი)	7,099,990	6,272,575
საქონლის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები (დღგ-სგან განთავისუფლებული)	46,749	37,248
ექსპორტი	76,013.35	68,869.49
სულ	7,222,752	6,378,692

10. ამონაგების თვითღირებულება

	2019	2018
	ლარი	ლარი
გაყიდული/შემცენილი საქონელი	(3,787,781)	(3,325,950)
სულ	(3,787,781)	(3,325,950)

11. ადმინისტრაციული ხარჯები

	2019	2018
	ლარი	ლარი
დასაქმებულთა ანაზღაურება	(761,072)	(745,097)
ცვეთა და ამორტიზაცია	(207,319)	(201,850)
იჯარის ხარჯი	(1,057,626)	(896,777)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(365,256)	(415,748)
სულ	(2,391,273)	(2,259,473)

12. ფინანსური ხარჯი

	2019	2018
	ლარი	ლარი
საბანკო გარანტიის საკომისიო	(27,135.88)	(24,519.83)
სულ	(27,135.88)	(24,519.83)

13. არასაოპერაციო შემოსავალი / ხარჯი

	2019	2018
	ლარი	ლარი
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან	(20,374)	24,426
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	229,972	326,148
სულ	209,599	350,574

14. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2020 წლის დასაწყისში მსოფლიო დადგა ვირუსული დაავადების კორონავირუსის („COVID-19“) გავრცელების საფრთხის წინაშე. 2020 წლის 11 მარტს მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ კორონავირუსთან დაკავშირებით პანდემია გამოაცხადა. მსოფლიოსა და საქართველოში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა რიგი ღონისძიებები, მათ შორის გამოაცხადა საგანგებო მდგომარეობა და კომენდანტის საათი. 2020 წლის 21 მარტიდან 2020 წლის 1 ივნისამდე შპს „ტევრი“-ს ობიექტებმა დროებით შეაჩერა მუშაობა.

საანგარიშო პერიოდის შემდგომ სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები არ გამოვლენილა.

15. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და მისი გამოცემის ნებართვა გაცემულია
2020 წლის 24 სექტემბერს.

შპს „ტევრი“-ს დირექტორი
თენგიზ ჭიჭინაძე _____

შპს „ტევრი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 31.12.2019-ის თარიღისთვის

	შენიშვნა	2019 ლარი	2018 ლარი
აქტივები			
პირითადი საშუალებები	4	905,406	1,102,008
სულ გრძელვადიანი აქტივები		905,406	1,102,008
სასაქონლო მარაგები	5	1,403,375	1,024,970
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	212,194	124,726
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	7	1,528,120	1,283,009
სულ მოკლევადიანი აქტივები		3,143,689	2,432,705
სულ აქტივები		4,049,095	3,534,713
ვალდებულებები			
საგადასახადო ვალდებულებები		84,952	119,684
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	8	1,184,748	1,161,643
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		1,269,700	1,281,327
სულ ვალდებულებები		1,269,700	1,281,327
საკუთარი კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება		2,779,395	2,253,386
სულ საკუთარი კაპიტალი		2,779,395	2,253,386
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		4,049,095	3,534,713

შპს „ტევრი“-ს დირექტორი
თენგიზ ჭიჭინაძე



შპს „ტვერი“

სრული შემოსავლების ანგარიშგება 01.01.2019 - 31.12.2019 პერიოდისთვის

	შენიშვნა	2019 ლარი	2018 ლარი
ამონაგები	9	7,222,752	6,378,692
ამონაგების თვითღირებულება	10	(3,787,781)	(3,325,950)
საერთო მოგება		3,434,971	3,052,742
ადმინისტრაციული ხარჯები	11	(2,391,273)	(2,259,473)
ფინანსური ხარჯი	12	(27,136)	(24,520)
არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	13	209,599	350,574
მოგება დაბეგვრამდე		1,226,161	1,119,323
მოგების გადასახადი		(86,918)	(32,570)
წმინდა მოგება/ზარალი		1,139,243	1,086,754

შპს „ტვერი“-ს დირექტორი
თენგიზ ჭიჭინაძე



შპს „ტევრი“
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 01.01.2019- 31.12.2019 პერიოდისთვის

	საწესდებო კაპიტალი ლარი	გაუნაწილებელ ი მოგება ლარი	ჯამი ლარი
ნაშთი - 01.01.2018	-	1,798,211	1,798,211
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	-	-	-
გაცემული დივიდენდები		(631,579)	(631,579)
პერიოდის მოგება		1,086,754	1,086,754
ნაშთი - 31.12.2018	-	2,253,386	2,253,386
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	-	-	-
გაცემული დივიდენდები		(613,234)	(613,234)
პერიოდის მოგება		1,139,243	1,139,243
ნაშთი - 31.12.2019	-	2,779,395	2,779,395

შპს „ტევრი“-ს დირექტორი
თენგიზ ჭიჭინაძე



15. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და მისი გამოცემის ნებართვა გაცემულია
2020 წლის 24 სექტემბერს.

შპს „ტვერი“-ს დირექტორი
თენგიზ ჭიჭინაძე

